# რა გვაქვს საუზმედ?

## წიგნის შესახებ

| | |
|---|---|
| *ტექსტის ტიპი:* | მხატვრული |
| *ტექსტში სიტყვების რაოდენობა:* | 73 |
| *კითხვის დონე:* | IV |
| *ტექსტის მოკლე შინაარსი:* | პატარა გოგონა დედას ეკითხება, რა აქვთ საუზმედ. დედა პასუხობს მის კითხვებს. ტექსტი დიალოგის სახით არის წარმოადგენილი და ინფორმაციულ მასალას მოიცავს. შესაბამისად, საინტერესოა ტექსტის კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც მისი სადიალოგო ფორმისა და რეპეტიციული ხასიათის მიუხედავად, საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი კონსტრუქციებით გამოირჩევა. |

## ტექსტის მიზანი:

ტექსტის მიზანია მოსწავლეებისათვის მარტივი სადიალოგე სტრუქტურის დასწავლა და საინტერესო ინფორმაციის მარტივი, რეპეტიციული ხასიათის ტექსტური მასალით მიწოდება. შესაბამისად, ტექსტი ხელს უწყობს კვებასთან დაკავშირებული სპეციფიკური ლექსიკური მარაგის გამდიდრებასა და გამყარებას, კონკრეტული, ხშირად გამოყენებადი ფრაზებით დატვირთული კონსტრუქციების შესწავლასა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას.

**ტექსტის ამოცანებია:**

| ფონეტიკური | ლექსიკური | გრამატიკული |
|---|---|---|
| | კვების პროდუქტების დასახელება.<br>„ისევ“, „კიდევ“ ***ტრანზიტული სიტყვების*** კონტექსტში გააზრება.<br>„ჯერ“ – „შემდეგ“ კონსტრუქციასთან დაჩვევა. | „-გან“ - თანდებულიანი ფორმის სწორად გამოყენება.<br>„-ც“ - ნაწილაკის სწორად გამოყენება კონტექსტში.<br>დიალოგის ფორმის ტექსტებში პუნქტუაციის წესებზე ვარჯიში.<br>„აკეთებენ“ - განუსაზღვრელი პირი. |

**ტექსტის გააზრება:**

| | |
|---|---|
| ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები | რეპეტიციული ხასიათის ფრაზები, რომლებიც სიტყვათა/ფრაზების დასწავლას უწყობს ხელს, აჩვევს ნორჩ მკითხველს დიალოგის ფორმის ტექსტის სწორ ინტონაციურ და პუნქტუაციურ აღქმას. |
| შინაარსობრივი მხარე | ძირითადი შინაარსის მიღმა, რომელიც საუზმისათვის მზადებას გულისხმობს, მოცემულია იმ პროდუქტების შემცველობის შესახებ ინფორმაცია, რომლებიც საუზმის მენიუს შეადგენს. მიუხედავად მოკლე, სხარტი წინადადებებისა, ტექსტი იძლევა შედარებისა და დაპირისპირების მარტივი მაგალითების გაცნობის საშუალებას. |
| ჟანრობრივი მხარე | დიალოგი, ინფორმატიული მასალის შემცველობით. |

**გაკვეთილისათვის საჭირო მასალები:**

დაფა, ორგანიზატორები, სასურათე ბარათები.

## 1. გრამატიკული დავალებები

### ა. ყურადღების გამოთქმებზე, სადაც მოქმედი პირი არ ჩანს,

1. კითხვის დასრულების შემდეგ, ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორ ფიქრობენ, **ვის** გულისხმობს დედა, როდესაც ამბობს, რომ კარაქს რძისგან **ამზადებენ?** ბავშვების ვერსიები ჩამოწერეთ დაფაზე.

2. აუხსენით ბავშვებს, რომ ხანდახან ის, ვინც შეიძლება კარაქს რძისგან ამზადებდეს, არ იწერება, არამედ იგულისხმება. მოიყვანეთ ანალოგიური მაგალითები: ამბობენ, რომ ზაფხული ცხელი იქნება და ა.შ.

### ბ. „გან“ თანდებული

1. დაურიგეთ მოსწავლეებს მცირე ჯგუფებში 4 წყვილი ბარათი არეულად. მაგ. საწოლი და ხის ნაჭრები, მწვადი და ხორცი, მარწყვი და ტორტი, შარვალი და ქსოვილის თოფი, ნიგოზი და ჩურჩხელა, ა.შ.

2. სთხოვეთ მოსწავლეებს, ჯგუფებში მოძებნონ და დააწყვილონ ბარათები და აწარმოონ წინადადებები:

.....-გან კეთდება ..... .

3. სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ დაწყვილებული ბარათების მიხედვით თქვან, რისგან რა კეთდება.

4. გააკეთებინეთ მოსწავლეებს დასკვნა, როდის გამოიყენება სიტყვასთან „-გან“ თანდებული.

**2. გააზრება/გაგება**

**(საგნებისა და მოვლენების შედარება, პირველადი და მეორადი ინფორმაცია)**

1. სთხოვეთ მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ ყურადღებით წაიკითხონ ტექსტი, შემდეგ კი, იმ ინფორმაციაზე დაყრდნოთ, რომელიც ტექსტში ამოიკითხეს, შეავსონ ორგანიზატორი, რომელიც ქვემოთ არის მოცემული.




**2. გააზრება - (თანმიმდევრობის გამომხატველი კონსტრუქციის ჯერ - შემდეგ გააზრება). ტექნოლოგიური პროცესის აღქმა ნაცნობი სიტყვებისა და წინადადებების კონსტრუქციების გამოყენებით.**

1. ჰკითხეთ მოსწავლეებს, თუ უნახავთ ოდესმე ხორბლის მარცვლები. ჰკითხეთ მათ, თუ იციან, საიდან მიიღება პურის ფქვილი.

2. ჰკითხეთ მოსწავლეებს, თუ უნახავთ ოდესმე, როგორ კეთდება პური? იმ მოსწავლეს, რომელიც იტყვის, რომ პურის კეთების პროცესი ნანახი აქვს, სთხოვეთ, სულ 2-3 წინადადებით მოუყვეს თანაკლასელებს, როგორ კეთდება პური.

3. ახლა დაუწერეთ მოსწავლეებს შემდეგი კითხვა დაფაზე: „**თუ იცით, როგორ აკეთებენ ხორბლისგან და წყლისგან პურს?**“ დაურიგეთ მათ სათითაოდ დავალება ან დაწერეთ დაფაზე შემდეგი არასრული ფრაზები.

ჯერ ხორბალს .....

..... პურს აცხობენ.

4. წაუკითხეთ მოსწავლეებს ნელა, გულდასმით პირველი ხაზი. გააკეთეთ პაუზა, რომ მოსწავლეებმა საკუთარი ვერსია შემოგთავაზონ. თუ ვერ გთავაზობენ, დაწერეთ ქვევით ორი სიტყვა შემდეგ თანმიმდევრობით:

(შემდეგ, კრეფენ).

5. ახლა სთხოვეთ მოსწავლეებს, აირჩიონ ამ ორი სიტყვიდან ერთი და ჩასვან პირველ ხაზზე. წაკითხეთ ნელა და გამოთქმით პირველი წინადადება და სთხოვეთ მოსწავლეებს, შეადგინონ მეორე ისე, რომ გამოჩნდეს, როგორ აკეთებენ ხორბლისგან და წყლისგან პურს. დაასრულეთ მეორე წინადადება ისეთივე მეტყველი ტონით და იმავე ტემპით. აქვე სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ სახლში დაწერონ, როგორ აკეთებენ რძისგან კარაქს და ყველს და დაურიგეთ მათ საშინაო დავალების ფურცელი, რომელიც ქვემოთ არის მოცემული.

1. ჯერ ..... წველიან,

..... ..... ამოჰყავთ.

*(ყველი, შემდეგ, რძეს)*

2. ..... ნაღებს ხდიან,

..... ..... თქვეფენ.

*(ნაღებს, შემდეგ, ჯერ)*